№ 173

1877—1897

№ 173

შაბათი, 23 აგვისტო 1897 წ.

შაბათი, 23 აგვისტო 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე დ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნეინა ნინო ხირიფსის ასული შარვაშიძისა, კნ. მარიამ იოსების ასული შარვაშიძისა, კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული წულუკიძისა და მარიამ ალექსანდრეს ასული შეკელევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისას, მეორე მეუღლისას და უკანასკნელნი ძმისას

**თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის შარვაშიძისას**

20 აგვისტოს, სთხოვენ მობრძანდნენ გვამის დასაკრძალავად სოფელს ხოვლეს 24 აგვისტოს, დილის 10 საათზე. (2—160—2)

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

**ი. ოცხელისა**

(ქუთაისში)

გამართულია ვარფოლომეევის სახლში, დადიანის ქუჩის შესახვევში,

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდგან, ყმაწვილები მიიღებიან სასწავლებელში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე; საყმაწვილო ბაღში-კი ყოველ დროსა მთელის წლის განმავლობაში. (6—162—1)

**სასწავლებელი მეორე ხარისხისა**

**სპ. გ. ჯორჯიკიასი**

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სერეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან. (10—6.—6)

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12. სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს. (10—უ—3)

## ახალი ამბავი

*** ქალაქის უძრავ მამულების ხელმეორედ დამფასებელი კომისიის გადაწყვეტილებით ქალაქის მამულების დაფასებას ჯერ ქალაქის მესამე ნაწილში შეუდგებიან.

*** 13 ივლისიდგან 17 აგვისტომდე ქალაქს შემდეგი შემოსავალი ჰქონდა: ტივების 7,677 მ. 40 კ., საყასბოსი-25,746 მ. 45 კ., ცხენებისა 26,246 მ., ვერის ხიდისა 7,466 მ. 72 კ., მნაცაკანის ხიდის 3,721 მ. 70 კ., ქალაქის ადგილებისა 7196 მ. 2 კაპ., ურმებისა და საერთოდ სოფლიდგან მოტანილს ტვირთისა—8,886 მ. 26 კ, სასწორისა—3,099 მან. 24 კ., ტრაქტირებისა—23,460 მან. 26 კ., ღამის გასათევ სახლებისა—2,623 მ. 62 კ., მამულის დაფასების გადასახადის ჯარიმისა—8,163 მან. 17 კაპ., წყლის მილისაგან — 103,034 მან. 31 კ. სულ, სხვა წვრილმან შემოსავალთან ერთად, ქალაქის კასსაში შესულა 228,860 მ. 66 კ., ხოლო შარშან ამავე დროს—216,054 მ. 30 კაპ.

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა აპირობსო გალავანი გაავლოს რკინის გზის ლიანდაგს ტფილისის სადგურიდგან ნავთლუღამდე და ამ ლიანდაგის მახლობლად მცხოვრებელთ ამის გამო სთხოვეს ქალაქის გამგეობას, რომ მან ან აღუკრძალოს ამ გალავნის გაკეთება, რომელიც მცხოვრებელთ გზას შეუკრავს, ანა და ხიდები გააკეთონ ზედ. ეხლა ქალაქის გამგეობამაც მიმართა რკინის გზის მმართველობას და სთხოვა, რომ აღასრულოს მცხოვრებელთა სამართლიანი სურვილი და გააკეთონ ხიდი ან ავჭალის ქუჩის თავში და ან ნორიოს ქუჩის პირდაპირ.

*** ქალაქის გამგეობამ მიიღო ტფილისის გუბერნატორისაგან ტფილისის თავად-აზნაურობის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების საჩივარი ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ მან არ აღნიშნა ეს საზოგადოება ამომრჩეველთა სიაში იმ აზრით, რომ საზოგადოებას არ შეეძლოს თავის წარმომადგენელი ჰყავდეს ქალაქის საბჭოში. გუბერნატორმა გამგეობას ამის შესახებ პასუხი მოსთხოვა.

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა 10 ნაწილად იქმნა გაყოფილი და თითო ნაწილში თითო ბეითალი იქმნება, რომელიც თვალ ყურს ადევნებს საქონელს. ფოთი-სამტრედიის ბეითალი—ფოთში იცხოვრებს, ბათუმ-სამტრედიისა—ბათუმში, სამტრედია-ხაშურისა—ქუთაისში, ხაშურ-გორისა და ბორჯომისა—გორში, გორიდგან-ყარაიაზამდე—ტფილისში, ყარაიაზ-ძეგამისა—აღსტაფაში, ძეგამ-ევლახისა—განჯაში, განჯა-საგირისა—უჯარაში, საგირ-სანგაჩალისა—აჯიქაბულში და სანგაჩალ-ბაქოსი—ბაქოში.

*** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო სიღნაღის მაზრის სოფლის საავადმყოფო სოფელ ველისციხიდგან ბაკურციხეში იქმნას გადატანილი.

*** ახლად დაარსებულის ტფილისის საგუბერნიო ბეითალის თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნება ბეითალი კრიდნერი.

*** ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი კ. მ. ლიდენი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად იქმნა გადმოყვანილი.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაწყვეტილებისა თანახმად, ბაქოს მახლობლად მდებარე 5,000 დესეტინა სახაზინო მიწა, სადაც ნავთი ამოდის,

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

დედოფალ ვიქტორიას იუბილეის დღესასწაული.—არისტოკრატია და საშუალო წოდება.—დიკკენსი. — ფილოსოფოსი მაკოლეი. —„ჩარტისტთა“ მოძრაობა.— „ექვსი მუხლი“. — კარლეილის სიტყვები.—რობერტი და ელისაბედი ბრუნინგნი.—ინგლისისა და ირლანდიის აწინდელი მდგომარეობა. — „მანიფესტი“.

22 ივნისს (ახ. სტ.) ინგლისმა დედოფალ ვიქტორიას „ალმაზის იუბილეი“ სანაქებოდ გარდაიხადა. ამასთან ამ ქვეყანამ თავისის ერის სამოცის წლის პროგრესიც იდღესასწაულა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისში დიდი ცვლილებანი მომხდარა. თაობანი შეიცვალნენ, ასპარეზზედ სამოქმედოდ ის ახალი ქორჟა ძალა გამოვიდა, რომელიც წინად საზოგადოებრივ ცხოვრებიდგან განდევნილი იყო; დემოკრატია გაძლიერდა; ამ უკანასკნელის გაძლიერებასთან დედაკაცის შრომამაც ფართო მოედანი მოიპოვა. ინგლიში ეს სამოცი წელიწადი კანონიერებისა და კაცთ-მოყვარულის იდეიების დაუსრულებლად წინსვლის ხანაა. ინგლისელები დედოფალ ვიქტორიას პატივს იმისთვისა სცემენ, რომ იგი მათს ქვეყანას თავისუფლად წინ-სვლის ნებას აძლევდა; კარგად ახსოვთ დრო გიორგი III-ის მმართველობისა, რომელსაც ჰსურდა შემთხვევათა მსვლელობა იმის ხელთ ყოფილიყო. აი როგორ ახასიათებს ტეკკერეი გიორგი III ს: «როგორც ყველა გონებრივად ჩამორჩენილი მეფე, ყველა მათ, რომელნიც იმაზედ გონებრივად მაღლა იდგნენ, მთელი თავისი სიცოცხლე ეჭვის თვალით უყურებდა. გიორგი III-ს ყოველი ახალი შემოღებულება და ახალის გამომგონელი თვალის ეკლად მიაჩნდა. უნდოდა მთელი ინგ[illegible]ისი თავისის იდეალისამებრ გამოეჭრა, რამაც ამერიკის ახალშენნი ააჯანყა და ინგლისს განაშორა. გიორგი III-მ ირლანდიაში პარლამენტი მოსპო, კათოლიკეთა უფლებანი შეჰზღუდა და მთელი თავისი სიცოცხლე ბეჭდვით სიტყვასთან ბრძოლაში გაატარა. თუმცა იგი თავისის იდეალის აღსრულებას ვერ ეღირსა, მაგრამ მასთან ბრძოლაში საზოგადოება ბევრს ძალ-ღონეს ალევდა. უმრავლესობა ულრმესის უმეცრება-სიბნელით იყო მოცული; სასოწარკვეთილების მომგვრელ მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვივნულნი. კანონები თავისის სიმკაცრით განცვიფრებიდგან გამოგიყვანდათ. სიკვდილით დასჯა 17 დანაშაულისათვის იყო დადგენილი, სხვათა შორის, ქურდობისათვისაც და სხვ. ამ საუკუნის დასაწყისს ინგლისში ყოველ წელს 900 კაცამდის სჯიდნენ სიკვდილით. საშუალო წოდებაც-კი, რომელსაც წლითი წლობით ძალა-მნიშვნელობა ემატებოდა, საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობისაგან დათხოვნილი იყო. მართვა-გამგეობა მაღალის წოდების ხელში იყო».

როგორი იყო მერე მაშინ მაღალი წოდება—არისტოკრატია? უსაზღვრო უმეცრება და გონების გაუნათლებლობა, წრეს გადასული ლოთობა, მხეცური გარყვნილება, სიძულილი დაბალის წოდების მიმართ,—აი, განსაკუთრებულნი, ინგლისის საზოგადოების მაღალის წოდების დამახასიათებელნი თვისებანი. ხალხის ბედიღბალი ამათ ხელში დიდხანს იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს; ამათ მაგიერ სცენაზედ სხვა ახალი წოდება გამოვიდა, რომელმაც თვალ-საჩინო სიძლიერე ნაპოლეონთან ბრძოლის შემდეგ გამოიჩინა. ამათ დაუყოვნებლივ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღება მოითხოვეს. არისტოკრატიამ უარი განაცხადა. მაშინ საშუალო წოდება ხალხს შეუერთდა და, გამწარებულის ბრძოლის შემდეგ, 1832 წლის ცვლილებათა კანონი იქმნა გაყვანილი. აი, ამ დროიდგან იწყება დედოფალ ვიქტორიას ბრწყინვალე ხანა, თუმცა ტახტზედ დედოფალი ხუთის წლის შემდეგ ავიდა. ამ ახალმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ აალორძინა ახალი ლიტერატურა, რომელიც იყო საშუალო წოდების ყოველისავე სიკეთის გამომხატველი.

ამ წოდების სახელოვან რომანისტად დიკკენსი იყო. დიკკენსს თანაბარი არა ჰყავს, როდესაც მკითხველის გულში თანაგრძნობის გაღვიძება ჰსურს. ბუნებისაგან დაჩაგრულ არსებათა დასურათხატება იმასავით არავის შეეძლო. ეს შესანიშნავი რომანისტი იყო, მაგრამ, ყველა ამასთან, საშუალო წოდების მგოსანიც. იმის რომანების გმირნი ამ წოდებას ეკუთვნიან; მათი იდეალი-იმავ წოდების იდეალია. ისინი კეთილის გულისანი არიან, მაგრამ ეს არაფრადა ჰღირს, რადგანაც არ გამოუცდიათ მწვავე სულიერი ბრძოლა; არ იცნობ-უწყიან თავისს „მე“-ს გამარჯვება და ამღელვარებულ იდეალის მიმართ მისწრაფება. ან ეს რა საჭიროა? ის წოდება, რომელშიაც დიკკენსი დაიბადა, ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე გაკეთებულ-მიღწეულიაო.

გავიცნოთ ამავ წოდების გონება მახვილი, ღრმა რწმენისა და პატიოსნების პატრონი ფილოსოფოსი მაკოლეი. ფილოსოფიაში იგი ბეკონის შეგირდია. მაკოლეის აზრით, ჭეშმარიტი მეცნიერება ბეკონიდგან იწყება. მხოლოდ ბეკონს შემდეგ აღმოაჩინეს ის საგანი, რომლის მიღწევაც სანატრელია და ის მეთოდი, რომლის შემწეობითაც ამ საგანს მივაღწევთ, ეს საგანი სარგებლობა, უტილიტარიზმია. მაგალითად, მათემატიკას საგანად აქვს არა უქმის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება, არამედ გამოგონება მაშინებისა, რომელნიც-კი კაცს მუშაობას უადვილე-

წვრილ ნაჭრებად იქმნება დაყოფილი და მსურველთ იჯარით მიეცემათ. საიჯარო ფასს იმის-და მიხედვით გამოართმევენ, რამდენს ფუთსაც ამოიღებენ.

*** მეურნეობის სამინისტროს-მიერ გამოგზავნილმა მიკოლოგმა იაჩევსკიმ უკვე დაათვალიერა კახეთისა, განჯისა და ერევნის გუბერნიების ვენახები და ტფილისში დაბრუნდა. ამ ჟამად ბ-ნი იაჩევსკი ტფილისსა და იმის გარეშემო მდებარე ვენახებს ათვალიერებს, ხოლო შემდეგ ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრების ვენახებს ინახულებს. კახეთის გარდა ბ-ნ იაჩევსკის ვაზის ავადმყოფობა ბლეკ-როტი შემახიის მაზრის სოფ. ქიურდამირშიც აღმოუჩენია.

*** კავკასიის ოლქის მზრუნველი ბ-ნი. კ. პ. იანოვსკი ბორჯომიდგან ტფილისს დღეს, 23 აგვისტოს, ჩამოვა.

*** ორშაბათს, 25 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვა უცხო სახელმწიფოს ამხანაგობის წარმომადგენელი ქალაქის გამგეობასთან მოსალაპარაკებლად ტფილისში ელექტრონის განათების გამართვის შესახებ.

*** 20 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის საბოტანიკო ბაღის დირექტორი ბ-ნი ფიშერ-ფონ ვალდგეიმი.

*** ტფილისში ჩამოვიდა, კავკასიის შესასწავლად ჩრდილო ამერიკის მოქალაქე ჰენრი კენდელი. („ორიანტის" სასტ. ჩამოხტა).

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხკაცებმა სთხოვეს მთავრობას, რომ მათ შვილებს ასწავლონ ბეითლობა და საერთოდ ცხენისა და საქონლის მოვლა-მოშენების საქმე, მთავრობამ განიზრახა ნება დართოს, რომ გლეხკაცის შვილებმა ზემო დასახელებული საგნები შეისწავლონ ხოლმე ტფილისის ცხენის მომშენებელს სადგომში. სწავლის დრო 3—დგან 5 წლამდე იქმნება. მთავარ-მართებელის კანცელარიამ აუწყა რა ეს ტფილისის გუბერნატორს, შეეკითხა, ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებებში ხომ არავინ მოიწადინებს მიაბაროს თავის შვილი იმავე სადგომშიო. გუშინ წინ გუბერნატორმა აცნობა მთავარ-მართებელს, რომ ტფილისის გუბერნიიდგან ჯერ არავის განუცხადებია ამის სურვილიო.

*** გუშინ, 22 აგვისტოს, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სხვა ექიმთან ერთად დაათვალიერა ყველა ის დუქნები, სადაც ძველ ტანისამოსსა ჰყიდიან და აღმოჩნდა, რომ არც ერთს ამ დუქნის პატრონს არ წაუღია ძველი ტანისამოსი სადიზინფექციოდ, თუმცა ყველას ნაბრძანები ჰქონდა. თავის გასამართლებლად მათ უთქვამთ, რომ დეზინფექცია ტანისამოსს აფუჭებსო.

ამიტომ, ძველი ტანისამოსით მოვაჭრეთა დასარწმუნებლად, რომ დეზინფექცია ტანისამოსს არ აფუჭებს, მომავალ კვირას ცალკე კომისია მოახდენს გამოცდას. ამ გამოცდაზედ მოწვეულნი იქმნებიან ძველს ტანისამოსით ყველა მოვაჭრენი, რომელთაც ათ-ათი ნაჭერი ძველი ტანისამოსი უნდა მოიტანონ თან სადეზინფექციოდ.

*** რადგანაც ზემო სვანეთის მცხოვრებელნი ქონებრივად მეტად შევიწროვებულ მდგომარეობაში არიან, ქუთაისის გუბერნატორმა შუამდგომლობა გასწია მეურნეუნეობის მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის წინაშე იმის შესახებ, რომ მან ყურადღება მიაქციოს ამ მხარეს და დააარსოს იქ სარძევე ფერმა და საერთოდ მეურნეობა და საქონლის მოვლა-მოშენება შეასწავლონ იქაურ მცხოვრებლებს. ეხლა ბ-ნი მედვედევი ჰგზავნის სვანეთში აგრონომს ა. ი. ფირალოვს, იქაური ადგილის და მეურნეობის შესასწავლად, სარძევე ფერმის პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად და ამ ფერმისათვის შესაფერი ადგილის ამოსარჩევად.

*** სოფ. განჩხა. სენაკის მაზრა შეადგენს ერთს მთიანს და ოღრო-ჩოღრო ალაგს, რომელიც სავსე არის სახნავ-სათეს და სათივე ველებით. ჩრდილოეთის მხრივ შემორტყმული აქვს ძვირფასი ნაზვნარისა, ცაცხვისა, წიფლარისა და სხვა გვარის ტყეები, რომელიც ამაყად დასცქერის სოფელს. ალაგი სწორედ შემკულია ყოველ გვარად ბუნების მხრივ, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა. ეს ნაკლი ის იყო, რომ უგზოობა ძალიან აწუხებდა სოფელს. მთელს სოფელში, რომელშიაც სცხოვრობს 315 კომლი, ვერა ჰნახავ გზას, რომ ხეირიანად გაიაროს კაცმა. ძალიან საშიშია, მეტადრე ზამთრისა და გაზაფხულის პირებზედ, ლეტა-საფლავები. თუ არ დიდის სიფრთხილით, და ისიც კიდევ კარგის ცხენით, ისე მგზავრობა შეუძლებელია. ლეტა-საფლავები და ჩქარი ღელეები, მგზავრს დიდს დაბრკოლებას აძლევს. ღამით მგზავრობა ხომ ყოვლად შეუძლებელია. რამდენიმე წელიწადია, ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევდა და თუ ეხლა გზა კეთდება, ამისი მადლობელი უნდა ვიყვნეთ სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწის ი. ა. ლაზარენკოსი, რომელმაც, პირველად შემოჰყო თავი თუ არა ამ სოფელში, დაიწყო კეთება გზისა და 1895 წელს კიდევაც გატეხა ბოროწინის ტყე და შეაკეთა მშვენიერი გზა, რომელიც შეუერთა ლეჩხუმის მაზრის გზას და რომელზედაც დიდის სიამოვნებით და არხეინად დადის ურმები. წინადკი ამ გზით ქვეითის კაცისათვისაც საშიში და ძნელი იყო სიარული. 1896 წელს გზა ჩამოვიდა სოფლის მახლობლად და წელს-კი სოფელშიაც. ეხლა ამ სოფლის მცხოვრებნი დიდს სიხარულში არიან, კაცი და ქალი დიდი მადლობელია ბ-ნის ი. ა. ლაზარენკოსი. კარგი იქნებოდა, პატივცემული თანაშემწე მაზრის უფროსისა ხელს შეუწყობდეს, რომ შიგ სოფელშიაც დაკეთდეს წვრილი, სასოფლო გზები, რათა მისვლა-მოსვლა გაადვილდეს.

*** ახალციხის მცხოვრებელმა ზინობინანაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ ამ რამდენისამე დღის წინად მარგარიტა საველიევოვისა და ჩემს ამხანაგ კარაპეტასთან ერთად (გვარი არ ვიცით) წაველი ეტლით დიდუბეში, იქ თხილაძის დუქანში პურის ჭამას შევუდექით. როდესაც სუფრიდგან ავდექით და ქისა ამოვიღე ჯიბიდგან დანახარჯის გასასტუმრებლად, მომვარდა უცბად კარაპეტა და ცემა დამიწყო. კარაპეტას, მარგარიტას გარდა სხვებიც მიეშველნენ და როდესაც უწყალოდ მცემეს, ყველანი გაიქცნენ და დაიმალნენო. როგორც იყო, ფეხზედ ავდექი და მაშინვე ქისა გავისინჯე, მაგრამ შიგ კაპეიკიც აღარ აღმოჩნდაო. ზინობინაშვილს ქისაში 2,100 მანეთი ჰქონია და ქურდობას კარაპეტას და დუქნის ორ მოსამსახურეს აბრალებენ. პოლიცია უკვე შეუდგა დამნაშავეთა შეპყრობას.

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მოხისი**, (გორის მაზრა). 11 აგვისტოს ამ სოფელს ბევრ არა საქმარ სასხლთან მდიდარისა და ღონიერის სოფლის სახელიც აქვს დავარდნილი მთელს ქართლში; მართლაც და კაცმა რომ მისი კუთვნილი ადგილები გაიცნოს, სახნავ-სათესის ნაყოფიერება შეატყოს და გაღით სოფლის შენობებს თვალი გადაავლოს, ყველა ამას იტყვის, მაგრამ თუ დაახლოვებით შეიტყო მოსახლის ვითარება, ჩაუკვირდა იმისს ცხოვრებას, დარწმუნდება, რომ ეს სოფელი უპატრონობითა და უმეთაურობით ყოველის მხრივ, უკან თუ არა, წინ არა სდგას ქართლის სხვა სოფლებზედ. მთელს სოფელს ორი წერა-კითხვის მცოდნე არ მოეპოვება, რომ შეეძლოს სოფლისთვის ზრუნვა. თუმცა მომეტებული ნაწილი აქაურის გლეხ-კაცობისა სახნავ სათესით კმაყოფილია, ზოგს ამათგანს 40—50 დღიური სახელმწიფო მიწა უჭირავს, მაგრამ არა მგონია ქართლის რომელიმე სოფელი აძლევდეს იმის მეპატრონეს ბატონს ღალად, რამდენსაც ესენი აძლევენ ადებულ ვალის სარგებელში. იშვიათად იპოვით ისეთს ოჯახს, რომ 15—20 თუმანი ვალი არ ემართოს და მანეთზე ფუთ პურს არ აძლევდეს სარგებელს წელიწადში.

ხა, სწორედ ეს ვალიანობა არის მიზეზი, რომ დღეს (კალოობის დამთავრებიდგან 15 დღის შემდეგ) იშვიათია სოფელში გუთნეულის პატრონი, რომ წლის სარჩო გადარჩენოდეს. დღეს ფუთი პური 13—14 შაურად ჰფასობს და რასაკვირველია, წლის გასვლამდის კიდევ უფრო გაძვირდება. ერთის სიტყვით, აქაურმა გლეხ-კაცობამ არ იცის როგორ გაიტანოს თავი ამ მოუსავლიანს წელიწადში, ქერისა და პურის მოსავალი სარგებლის გადამხდელსაც არ ეყოფა და სიმინდი ხომ აღმოსავლეთის ქარმა სრულიად გაახმო და აახალა. ასეთის მდგომარეობით რასაკვირველია, ისარგებლებენ ადგილობრივი ჩარჩები და ხალხისაგანზის ფასად (6—7 შაურად) ანაღებს მოსავალს მასვე ერთი ორად და მეტად დააწერენ. ამ შემთხვევაში დიდი იმედი

---

ბენ, იმისს სიცოცხლეს უფრო უშიშარსა და ბედნიერს ჰყოფენ, ყოველგვარ გამოგონებისა და მეცნიერების საგანი ტანჯვათა შემცირება და სიცოცხლეში კმაყოფილების გამრავლებაა. მაკოლეის აზრით, სარგებლობის ფილოსოფიამ კაცის გონება სწორე გზაზე დააყენა. ეს ფილოსოფია იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მხოლოდ ფაქტებისა და კანონების მოქმედების ცნობა-გამოკვლევა შეგვიძლიან და არა პირველ მიზეზისა. ამ გონივრულის მეთოდის ხმარებით მან დიდი ჭეშმარიტებანი აღმოაჩინა. მაკოლეი თანამედროვე ცხოვრებით აღტაცებულია, იმ დროის ცხოვრებაზედ უკეთესი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ამ დამოუკიდებლობის ცხარე თაყვანის მცემელმა ვერ შეიგნო მოთხოვნილებანი იმ დაბალის წოდებისა, რომელიც მაშინ ცხოვრების ასპარეზზედ ახლად გამოდიოდა. ხალხი, რომელმაც საშუალო წოდებას უფლებათა მოპოვებაში დიდი დახმარება გაუწია, მოტყუებულ იქმნა. საშუალო წოდებას ფიქრადაც არა ჰქონდა ვისთვისმე გაენაწილებინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.

ამის მიზეზით ხალხში მოძრაობა დაიწყო. 1838 წელს მშრომელის წოდების წარმომადგენელ „ჩარტისტთ" ექვს მუხლოვანი ცვლილებათა პროგრამმა შეადგინეს; იმათის აზრით, ყოველი წინსვლა ქვეყნისა შეუძლებელი იყო, თუ არ განხორციელდებოდა და არ იქმნებოდა შემოღებული: 1) საყოველთაო უფლება კენჭისა, 2) თანასწორი ამომრჩეველი ოლქები; 3) დაფარული კენჭის ყრა; 4) ყოველწლიური პარლამენტი; 5) პარლამენტის წევრთათვის ქონებრივის ცენზის უარყოფა და 6) იმათი დაჯილდოვება. მუშა წოდებისაგან ეს მუხლები ყოველგან აღტაცებით იქმნა მიღებული მისს. სასარგებლოდ სხვა-და სხვა ქალაქებში რიცხვ-მრავალი კრება-მიტინგები იკრიბებოდა. ამ მოძრაობამ მდიდარი ლიტერატურა შეჰქმნა. ამ ახალის მოძრაობის იდეალების გამომხატველად გაზეთი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" შეიქმნა. ამ გაზეთის გამომცემელი ოკონნორი ხალხის სათაყვანებელ კერპად გარდაიქცა. ამ დროს შეთხზულ სიმღერა-ლექსებში ოკონნორს „თავისუფლების ლომს" უწოდებდნენ. ჩარტისტთა მოძრაობაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. ერთის წარმომადგენელნი მშვიდობიან მოქმედების მომხრენი იყვნენ; მეორის წარმომადგენელნი—აჯანყებისა. მთელის ინგლისის ჩარტისტთ კომიტეტი ამოირჩიეს, რომელმაც ეროვნულის კონვენტის სახელწოდება მიიღო.

საშუალო წოდებამ ეს მოძრაობა კანონიერად არ იცნო და მიტინგების უფლებაც-კი შეუზღუდა. ამას ხალხის გაბოროტება-გაბრაზება მოჰყვა. საქმე შედარებით მშვიდობიანად მიდიოდა 1839 წლის ივნისის თვემდის, ხოლო ამ წელს-კი კონვენტმა საზოგადოებათა პალატაში უფლებათა პეტიცია—თხოვნა წარადგინა 1,280,000 კაცის მიერ ხელმოწერილი. პარლამენტმა უარ-ჰყო ამის გასინჯვა. ამის გამო ხალხს ჯართან შეტაკება მოუხდა. პარლამენტიც ამ არეულობას ელოდდა. და ტუსაღებულთა რიცხვი გამრავლდა. სამს მოთავეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ამ საშუალებათ ჩარტიზმი ვერ მოსპეს. 1848 წელს 10 აპრილს ლონდონში მიტინგი გაიმართა, რომელსაც 50 ათასი კაცი დაესწრო. ამორჩეულმა კომისიამ ექვს ცხენიან დროშებით მორთულის ურმით პარლამენტისაკენ ექვს მილიონ კაცისაგან ხელმოწერილი პეტიცია წაიღო. პარლამენტმა ამხელადაც უარ-ჰყო პეტიცია. ამასაც აჯანყება და აჯანყებულთა დაპატიმრება მოჰყვა. საპყრობილეებში ტევა აღარ იყო. ჩარტისტთა აურებელი რიცხვი ავსტრალიაში გადაასახლეს.

როდესაც შესაპყრობი და გადასასახლებელი აღარავინ დარჩა, მმართველობის მომხრე გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ იმათი უნიადაგო ოცნებანი სამუდამოდ მოსპობილად უნდა ჩაითვალოსო. ამ დროს გაისმა კარლეილის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ გაზეთებიდგან შევიტყეთ, რომ ჩარტიზმი აღარ არის, ვითომ სამინისტრომ ამ მოძრაობას ბოლო მოუღოო. გაზეთები ასე ამბობენ, მაგრამ ჟურნალების მკითხველთ იციან, რომ სახელდობრ უნიადაგო ოცნებანი მოისპნენ და არა სინამდვილე. ბოლო მოეღო ჩარტიზმის გარეგნობას და არა იმისს არსებითს მხარეს. ჩარტიზმმა დაგვარწმუნა, რომ მშრომელის წოდების უკმაყოფილებამ უკიდურესობამდის მიაღწია. ჩარტიზმს ღრმა ფესვები აქვს და ფართოდ არის გავრცელებული. იგი გუშინდელის დღიდგან არ არის დაწყებული და არც დღესა და ხვალ მოისპობა. ეჭვს გარეშეა, რომ ის მოვლენა, რომელიც ჩარტიზმის სახელით არის ეხლა ცნობილი,—ყოველთვის არსებობდა და იქმნება... ამ მოვლენის მოსასპობად სხვა საშუალებანი არის საჭირო. პარლამენტს აუარებელი საგნები აქვს განსახილველი, მაგრამ არა ისეთნი, რომელიც ქვეყნის ცხოვრელმყოფელს ძარღვს შეადგენს: ასეთია მშრომელ წოდების მდგომარეობის გაუმჯობესება... ჩარტიზმი მაღალის წოდების მიერ ხალხის საჭიროებას გაუგებრობა უყურადღებობას ჰმოწმობსო"...

48 წლის დამარცხების შემდეგ დაბალი წოდება საშინლად მოუძლურდა. საჭირო იყო იმათთვის რწმენა გაეღვიძებინათ და იმდენად განევითარებინათ, რომ თავიანთი საკუთარი სარგებლობა შეეგნოთ; იმათი თვით ცნობიერება განეთავისუფლებინათ ყოველგვარ მჭვარტლ-ჯანღ-ბურუსისაგან. ამ საგნის მისაღწევად ახალი სახალხო ლიტერატურა დაარსდა. დარვინისა, სპენსერისა და და ბოკლის გამოკვლევა ნაწარმოებთა გარდა, რომელთაც ინგლისისა და მთელის კაცობრიობის აზრი დიდად წინ წასწიეს, ამ დროს ლიტერატურულ ასპარეზზედ ისეთნი პოეტნი გამოვიდნენ, რომელნიც საზოგადოებრივის სამართლიანობის გრძნობის წინამორბედად და მახარობელად უნდა ჩაითვალნენ. ესეთნი არიან მეუღლენი რობერტი და ელისაბედი ბროუნინგი. ბროუნინგის აზრით ქვეყნიერება მებრძოლთა საასპარეზო მოედანია, სადაც შეტაკება გვიხდება, მომავალ თაობათა გულისათვის. ამისათვის უდიდესი ცოდვა, ის სულით დაცემა, სალათას ძილი, აზრის სისუსტე და ზნეობრივი დაბრმავებაა, რომელიც გარემოცულ ტანჯვა-მწუხარებას ვერ ამცნევს. „ეხლა რომელი ჩვენგანი არ იტანჯება სულიერის სიდამბლავისაგანაო?—ამბობს ინგლისელი კრიტიკოსი ედუარდ დაუდენი: ბროუნინგის პოეზია ამისთანა სულიერ სიდამბლავისაგან გამკურნებელი მალამოა. იგი უნერგავს კაცს სიკეთის გამარჯვების რწმენასაო".

თუ რობერტ ბროუნინგის პოეზია ბრძოლის პოეზიაა, იმისის მეუღლის პოეზიის ძირითადი კილო—შეურაცყოფილთა, ყრმათა, ცხოვრებაში ყველასაგან ჩაგრულ-ტანჯულთა სიყვა-

გვაქვს ახლად დაარსებულის გიმნაზიის დეპოსი, რომელმაც მცირედის სარგებლით შარშან ხელი გაუმართა ახლო-მახლო მცხოვრებლებს და ამითი ხალხში ნდობა და პატივი დაიმსახურა. სასიამოვნოა მოისმინა გლეხების საუბარისა, რომელნიც სულითა და გულით არიან მოწადინებულნი დეპოს სიკეთესა და აღორძინებას და იმასა სთვლიან თავის მხსნელად უცხოეთი ნარჩენისაგან.

ამ დღეებში აქ გაიყიდა 600 ფუთი სოფლის მაღაზიის პური, რომელიც სურამის საზოგადოების სხვა სოფლის პურებთან ერთად ხელთ იგდო ერთმა ბატონმა 11 შაურად, მაშინ, როდესაც დღეს-ვე ჩვენის სოფლის მკვიდრნი 13 შაურად ჰყიდულობენ ხორბალს.

ამასთანავე არ შეგვიძლიან ერთი ჩვენი ნაკლიც არ აღვნიშნოთ: მამასახლისი არა გვყავს. მართალია გვყავს, მაგრამ სამი წელიწადია სოფელს უურს აღარ უგდებს. მანამ ჯამაგირს იღებდა ჩვენი მამასახლისი, კარგი იყო, ახლა ჯამაგირის აღება აუკრძალეს და ის თავს მოვალედ აღარა სთვლის მამასახლისის მოვალეობა აასრულოს და არც სხვა მამასახლისი გვეღირსა. კარგი იქნება, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას ვისიც ჯერ არს, რადგან ჩვენს საზოგადოებაში 1,200 კომლია და უმამასახლისოდ მეტად ვართ გაჭირვებულნი.

აფრასუხაი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ რამდენისამე წლის წინად კავკასიაში ჰმოგზაურობდა უნგრელი გრაფი ევგენი ზიჩი. ზიჩს აზრად ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებთა ტომობრივი თვისებანი შეესწავლა. აი, თუმე რასა სწერს იგი თავისს მოგზაურობის აღწერაში კავკასიის შესახებ:

„რომ გავარჩიოთ ყველა ის, რაც ძველს ავტორებს—ჰეროდოტს, ერატოსთენსა და სტრაბონსა აქვთ ნათქვამი, რომელნიც ჰუნნებს პირდაპირ არ ასახელებენ, ან ის, რაც პლინიოსს, პტოლომეოსს, დიონესიოსსა და სხ., რომელნიც ჰუნნებს პირდაპირ ასახელებენ და აღგვიწერენ, შემდეგ ბიზანტიის იმპერიის ბერძენ-რომაელთა ავტორებს (ამიენ მარსელენს, მე-IV საუკუნეში, პრისკუს რეტორს მე-V-ში, პროკოპის, აგათიას, მენანდრსა და სხვ.), მე-IV და V საუკ. სომეხთა ავტორებს, ბიზანტიელს ფაუსტოსსა და მოსე ხორენელს, ან შემდეგ ამისა ბიზანტიელ ავტორებს: ლევან ბრძენს, კონსტანტინე პორფიროსანს, ნისეტას, მანასესს, სინოშუსს, სედრენანჩს, კალხოკონდილასს, კსიფილიონსს (1066 წ.) და სხ., დასასრულ, რაც არაბეთის ავტორებს: იბნ-დოსტას (913), გურდეზის (1051), აბულფედს, იბნ საიდს, ბეკრი ედრისის, გუნკარასა და ალბაქრისა აქვთ ნათქვამი, დავრწმუნდებით, რომ ქრისტეს შობის შემდეგ, მე II საუკუნიდგან დაწყებული, ჰუნნები კავკასიასა, მდინ. დონსა და ვოლგას შუა სცხოვრობდნენ, რომ ჰუნნი და ავარნი ერთისა და იმავე ხალხის შტოებს შეადგენენ. აქ საჭირო აღარ არის ითქვას რამე იმ ისტორიულ კავშირის შესახებ, რომელიც ჰუნნთა და მადიართ შორის არსებობს, კავშირისა, რომელიც გრაფმა გეზა კიუუნმა, იოსებ ტიურიმ, ჰენრის მარკრალიმ, გეზა ნადუშა და ბერნარდ მუნკაჩიმ აღიარეს და დაამტკიცეს.

„ჰუნნებისა და მადიარების შემდეგი ისტორია ამბობს, რომ ეს ერი სამ ნაწილად გაიყოფილა: ერთი ამათგანი დასავლეთისაკენ წასულა და უნგრელთა ეროვნება შეუდგენია, რომელმაც თავისი ენა მთელის ათასის წლის განმავლობაში არ დაჰკარგა, მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წასულა და შეერთებულა იმ ერებთან, რომლებიც მაშინ იქ სახლობდნენ, იქ, სადაც დღეს ბაშკირნი სცხოვრობენ; მესამე კავკასიაში დაბრუნებულა, ჯერ ერთი იმისთვის, რომ მთელი რვა საუკუნე მადიართა ერმა აქ გაატარა, მეორე იმისათვის, რომ კავკასიას მრავალ-საუკუნის განმავლობაში ბევრი სხვა-და-სხვა ერი თავს აფარებდა; სწორედ ეს გარემოება მაძლევს ნებას, რომ ძველ მადიართა ნარჩენი ხალხი, რომელიც დღემდის დაშთენილა, აქ ვეძიო“.

აქ გრაფს ზიჩს ძველ ახალ დროის ავტორების ნაწერები მოჰყავს თავისის აზრის დასამტკიცებლად და ამბობს, რომ მე თვითონ ბევრი რამ ვპოვე ისეთი, რაიცა კავკასიის ტომთა უნგრელებთან ნათესაობას ამტკიცებსო. ამის დასასაბუთებლად ზიჩს მოჰყავს ისეთი სახელები უნგრელთა ენიდგან, რომელნიც კავკასიაშიაც შეჰხვედრია. აი, მაგალითად ეს სახელები: გუნიბი და გუნსაკი, რომელნიც მას ერთის აზრის გამომხატველად მიაჩნია, დარგო (კავკასიელ ერის სახელია)—დორგო (მდინარეა უნგრეთში და ავსტრიაში, ზემპლენის პროვინციაში გვარი), გორი (ჩვენი ქალაქი)—გორი (უნგრეთში გვარია და სოფლის სახელი); გვარები: პიტო, შაკი (??), სუმბათოვი, ზიჩიანოვი (ციციანოვი), ბერსეკი (ფშაველებში), ყარაჩაი (ყუბანის მახლობლად) უნგრულს ბიტტოს, სსაკის, სომბათის, ზიჩის, ბერსეკს, ყარაჩაის უდრისო და სხ.

ეს გრაფი ზიჩი კავკასიაში მოგზაურობის დროს ქართლში თავ. ციციშვილებსაც ეწვია და მაშინვე გამოსთქვა ეს აზრი, რომ ჩვენ და ქართველები ერთმანეთის მონათესავე ერნი უნდა ვიყვნეთო. მერე, განა შესაძლებელია ამ საგნის შესახებ ან „არა“ და ან „ჰო“ ითქვას გადაჭრით? დღემდის კავკასიაში მოსახლე ერთა ვინაობა სრულიად გამოუკვლეველია და ადვილად შესაძლებელია, მართლაც უნგრელებთან რაიმე ნათესაობა გვქონდეს. ამას მომავალი გამოკვლევა აღმოაჩენს; ჯერ დღემდის-კი ისევ ის უნდა ვთქვათ, რომ სასურველია, ისევ ჩვენმა ხალხმა მიჰყოს ხელი ამ გამოკვლევას, მაგრამ ისე-კი არა, როგორც დღემდის გვჩვევია: ვინც-კი ერთს რომელსამე ისტორიულს ნაშთს ნახავს, მასზედ დაშთენილს წარწერას წაიკითხავს, ვისსამე საისტორიო სახელმძღვანელოს შეისწავლის და ორს-სამს ისტორიულს ბიბლიოგრაფიას დასწერს, ყველას დიდი ისტორიკოსი და მკვლევარი ჰგონია თავი. ამ საგნისათვის-კი ჯერ ერთი ენების ცოდნაა საჭირო, მეორე საფუძვლიანი განათლება და მესამე ღრმა დაკვირვება, რაიცა დღემდის ჩვენში იშვიათი მოვლენაა. აი, მაშინ შეიძლება გაკეთდეს რამე ამ მხრივ, თორემ სულ ერთითავად უცხო ერთა სწავლულების ხელში შეცქერა და იმათგან სასიამოვნო სიტყვების გაგონება, როგორც მაგ. ციციანოვები და ზიჩები ნათესავები არიანო, ვერაფერი ნუგეშია.

## რუსეთი

საერთაშორისო სასტატისტიკო ინსტიტუტის წევრთა კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც პეტერბურგში მოხდა 18 აგვისტოს, სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან მრავალი წარმომადგენელი ჩამოსულა. სხვათა შორის, პარიზიდგან ცნობილი საფრანგეთის ეკონომისტი და საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის წევრი პიერ ლევასერი ყოფილა, ლონდონიდგან—პროფესსორი კრეიე, ვენიდგან—პროფ. ინაბა და ნიუორკიდგან—პროფესსორი—სმიტი.

— გეოლოგოსთა მე-VII კონგრესის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამა და ბიურომ უკვე დაიწყო მოქმედება. კონგრესის მეცადინეობის დაწვრილებითი სია ჯერ შედგენილი არ არის.

— წელს უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შესვლა მეტად გაძნელებული იქმნება. თითოეულს მათგანში მრავალი თხოვნაა შეტანილი. ამ მხრივ სატეხნოლოგო ინსტიტუტმა ყველას გადააჭარბა: 120 თავისუფალს ადგილზედ 1,000 თხოვნაა წარდგენილი.

— დედათა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტში ლექციების კითხვა 15 სექტემბერზედ ადრე არ დაიწყება. შესაძლებელია, ლექციები უფრო გვიანაც დაიწყონ, რადგანაც ინსტიტუტის შენობა შიგნიდგან ჯერ სავსებით დასრულებული არ არის.

— პეტერბურგში რუსეთის სახელგანთქმულს მხატვარს ბ-ნს აივაზოვსკის თურმე მიელიან. ბ-ნი აივაზოვსკი, როგორც ამბობენ, ნებართვის გამოთხოვნას თურმე აპირებს, რომ ოდესაში სამხატვრო აკადემია იქმნას დაარსებული.

— გზათა მინისტრს მოუწონებია პროექტი, რომლითაც განზრახულია არსებული რკინის გზის საავადმყოფონი გაფართოებულ იქმნას და ახლები დაარსდეს.

## ნაკვესი

მასწავლებელი და მოსწავლე.

— ისრიმაშვილო, რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის ქათამს?

— სწვავენ და სჭამენ.

— კიდევ?

— კვერცხსა სდებს.

---

რულია. ელისაბედი ბროუნინგი ამტკიცებდა, რომ პოეზიის უმაღლესი დანიშნულება კაცთ-მოყვარეობაა, ჰუმანიზმიაო. ხანდახან ელისაბედ ბროუნინგის პოემებში ნაღვლიანი კილოც მოისმის, მაგრამ ეს ხან-მოკლე და წუთიერი დაღვრემილებაა, რომელიც სიყვარულის გამეფების ღრმა რწმენით ნიავქარწყლდება.

ხალხი, მძიმე დამარცხებისაგან ამისთანა სასო-იმედ მომგვრელ სიტყვებით ზურგ-მომაგრებული, ხელახლად შეუდგა საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვებას. 1867, 87 და 92 წლების ცვლილებათა წყალობით ხალხს იმისთანა მოთხოვნილებანი განუხორციელდა, რომელსაც ჩარტისტნი ვერც-კი წარმოიდგენდნენ. მუშა წოდებას ეხლა პარლამენტში ანუ პალატაში თავისი საკუთარი წარმომადგენელნი ჰყავს, სადაც ისინი იმის საჭიროება-მოთხოვნილებათ იცავენ. თვით ცნობიერების გრძნობა და კანონიერება-წეს-რიგიანობის პატივისცემა გაძლიერდა დაბალ ხალხში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა წოდების მოწოდება ქვეყანას საკეთილდღეოდ დაეტყო და ეს კეთილდღეობა უაღრეს ხარისხამდე მივიდა, იმისდა მიუხედავად რომ ამ უკანასკნელს ექვს წელიწადში დაეცა ისეთი სასარგებლო დარგი მეურნეობისა, როგორიც არის მიწად-მოქმედება. როდესაც დედოფალი ვიქტორია ტახტზე ავიდა, ინგლისს თავისის საკუთარის პურით 11 თვე შეეძლო გამოკვებულიყო. ეხლა თავისი პური ორ თვეზე ცოტა მეტს ძლივსა ჰყოფნის.

მიწად მოქმედების სრულიად დაცემის მიუხედავად, უმრავლესობის კეთილდღეობამ მაინც შესამჩნევად იმატა იმ მიზეზით, რომ მრეწველობა გაძლიერდა. მუშათა კავშირ-ამხანაგობამ ხომ დიდი სარგებლობა მოუტანა მშრომელს წოდებას. ინგლისი ეხლა მეტად განათლებულია, უკეთესად იცვამს, მეტს ხორცს სჭამს, შემნახველ კასებში მეტი ფული აქვს დაზოგვილი, ვიდრე ამ სამოცის წლის წინად იყო. მცხოვრებთა რიცხვი 16-გან 30½ მილიონამდის ავიდა. ევროპაში ისე კარგად არავინ არ იკვებება, როგორც ინგლისში, სადაც წელიწადში საზრდოზედ კაცი 10 გირ. სტერლინგსა და 4 შილინგს ჰხარჯავს, მაშინ როდესაც ფრანგი ჰხარჯავს 8 გირ. 16 შილ., გერმანელი—7 გირ. 15 შილ., ინგლისელი წელიწადში 121 გირ. ხორცსა სჭამს, (გერმანელი—75 გირ., ფრანგი—70 გირ., ბელგიელი—56 გირ.), 360 გირ. ხორბლის ფქვილს, 88 გირ. შაქარს, 16 გირ. ერბოს, 12 გირ. ყველს, 6 გირ. ქონს, 85 კვერცხს და ბოლოს 90 უნცი ჩაით და 30 გალონი ლუდით ჩაისველებს ხოლმე ყელს. ჩვენებურ გირვანქაზედ ინგლისური გირვანქა 12 მისხლით მეტია.

1837 წ. ინგლისში წერა-კითხვის უცოდინრობით 43% არ შეეძლო ჯვარის წერის ქაღალდზედ ხელი მოეწერა. 1894 წელს წერა-კითხვის უცოდინარი 3% იყო. დროგამოშვებით გამოცემათა რაოდენობა ეხლა 60-ჯერ მეტია. საყურადღებო ის არის, რომ ბევრი ამ გამოცემათა შორის ხალხის მიერ არის დაარსებული თავიანთის იდეალების გამოსახატავად. სახალხო უნივერსიტეტებიც დაარსდა, რაც წინად არ იყო. პირველი სახალხო წიგნთ-საცავი 30 წლის წინად გაიმართა. ეხლა იმისთანა სოფელს ვერა ჰნახავთ, წიგნთ-საცავი არა არსებობდეს. მმოძრავ წიგნთ საცავნი ხომ ყველა მიყრუებულს ადგილებში ავრცელებენ წიგნებს. არა ნაკლებ საყურადღებოა ციფრები, რომელნიც აღნიშნავს შემნახველ კასებში დაზოგილის ფულის რაოდენობას. ეს გარემოება ხალხის კეთილდღეობის ერთი უკეთესი მაჩვენებელთაგანია. 1850 წ. შემნახველ კასებში 30,100,000 გირ. სტერლინგი ინახებოდა, 1895 წ.—143,200,000. თითქმის ყველა ოჯახს შემნახველ კასის წიგნაკი აქვს. კეთილდღეობის მატებას სიკვდილთა შემცირებითაც დაეტყო. შემცირდა რაოდენობა ბრმათა და ყრუ-მუნჯთა, ამ სიღარიბის სამწუხარო მსხვერპლთა. 1851 წელს ერთ მილიონ მცხოვრებზე 1014 ბრმა იყო, 1891 წელს-კი—809., 1831 წ. იმავ რიცხვ მცხოვრებლებზე 545 ყრუ-მუნჯი იყო, 1891 წ.—489. გლახაკთა რიცხვმაც შესამჩნევად იკლო.

სამაგიეროდ სამწუხარო მდგომარეობაშია ირლანდია. იმისი ბედ-იღბალი ეხლაც ლორდთა პალატაზეა დამოკიდებული. ირლანდიას თავისის საჭიროებისას არასა ჰკითხავენ; ნებას არ აძლევენ თავისი ბედი თვითვე განაგოს. დ-რი მუნგ-ჯიბსონი ამბობს, — უკანასკნელის სამოცის წლის მცნება ის არის, რომ ყველა ერი თავისს-თავზედ უნდა იყოს დანდობილიო. ინგლისმა ნება არ მისცა ირლანდიას ეს მცნება შეეთვისებინა, რასაც მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვა. სამიწად-მოქმედო გაჭირვებამ სრულიად გაანადგურა ირლანდია. მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იკლო. ირლანდიელთა უმთავრესი საცხოვრებელი წყარო—მიწად-მოქმედება ძალიან დაეცა, მიწის მოსავალმა იკლო, ხოლო საიჯარადრო ფულმა და მამულის გარდასახადმა-კი იმატა. განსაცვიფრებელია სხვა-და-სხვა გადასახადთა ზრდა. ირლანდიელი ოცის შილლინგით მეტს იხდის ინგლისელზედ. დარჩენილ გარდასახადის სიმრავლისა გამო ირლანდიელი ნიადაგ მშიერია. თუ ინგლისელი საზრდოზედ 10 გ. 4 შ. ჰხარჯავს, ირლანდიელი 5 გ. 5 შ. —ირლანდიელი სამჯერ ნაკლებს ხორცსა სჭამს. ირლანდიაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვმა იკლო. სიღარიბესთან ერთად გამრავლდა რიცხვი სიკვდილისა, რაოდენობა ყრუ-მუნჯთა, ბრმათა და უგონოთა. მათხოვრობა 34%-თ იმატა, მკვიდრთა რაოდენობა-კი 15%-თ იკლო. აუარებელი გადასახლება ამ ქვეყანას უკეთესს ძალ-ღონეს აცლის.

ვინც გაკვრით მაინც გადასინჯავს ამ ცნობებს, იმას არ გააკვირვებს „მანიფესტი“, რომელიც 16 მაისს პარლამენტში გამოაქვეყნა ირლანდიის დასმა. ამ მანიფესტმა შესაზარად იმოქმედა. გაზეთები იმის შესახებ ბაასს ვერც-კი ჰბედავდნენ. „ირლანდიის საპარლამენტო დასი საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ იმას დედოფალ ვიქტორიას სამოცის წლის მეფობის იუბილეის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება შესაძლებლად არ მიაჩნიაო,—ნათქვამია მანიფესტში. ეს დღესასწაული მარტო იმისათვის კი არ არის ვამართული, დედოფლის პირადს და საზოგადოებრივ თვისებათ პატივი სცენ. უმთავრესად ეს სახელმწიფო დღესასწაულია. მან უნდა გვაჩვენ-დაგვანახვოს თვით-მმართველობისა და იმისთანა დაწესებულებათა გამარჯვება, რომელთაც სარჩულად ხალხის ნება უძევს; შემდეგ, იგი ჰნიშნავს კეთილდღეობის წინსვლას, კულტურისა და ერის განვითარებას. ჩვენ

— კიდევ? არ იცით? . შინ ბაღიშში რა არის ბლომად?

— რწყილი, ბ ნო მასწავლებელო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრსა ჰგონია, რომ ხანში შესულ ადამიანისათვის გიმნასტიკა, ფეხით სიარული და საზოგადოდ ფიზიკური ვარჯიშობა სრულებით არ არის სასარგებლო და შეიძლება მავნებელი იყოსო. ეს აზრი უსაფუძვლოა. ზომიერი ფიზიკური ვარჯიშობა, სიარული და გიმნასტიკა ხანში შესულ ადამიანისთვის ძლიერ სასარგებლო ყოფილა. რა თქმა უნდა, ამ საქმეშიაც, როგორც ყველაფერში, მხოლოდ გადაჭარბება არ ვარგა.

ერთს პროფესორს გამოუკვლევია ეს საგანი და ასახელებს კიდეც ისეთ კაცებს, რომელთაც ძლიერ დიდ ხანს უცოცხლიათ ფიზიკურ ვარჯიშობისა და გიმნასტიკის წყალობით. დასახელებულნი არიან: პალმერსტონი, პილი, კემპბელი, გრეემი, ბერნსი, ვალტერსკოტი, გლადსტონი, ბისმარკი, გუმბოლტი, დარვინი და ტოლსტოი. 84 წლის პოეტი ბრიონი, ისტორიკოსი პარკმანი და ზოგნი სხვანიც სიბერეშიაც გიმნასტიკით ვარჯიშობდნენ.

გამოჩენილი ნავოსანი კლასპერი 50 წლის მოხუცი იყო, მაგრამ ვერც ერთი ახალგაზდა კაცი ვერა სჯობნიდა ნავოსნობაში. ასეთივე ღონიერი და მარჯვე იყო 96 წლის კრიკეტის მოთამაშე ბერლენი. სახელოვანი ბოკსერი ანუ მოკრივე ვარდი 95 წლის გარდაიცვალა. 76 წლის ბოკსერი მასე ეხლაც კრივს ასწავლის მსურველთ. ბლონდენი, სახელოვანი ჯამბაზი, 72 წლისა გარდაიცვალა და სიკვდილამდე ჯამბაზობდა.

უკეთესი დასამტკიცებელი მაგალითი ბ. რობერტსონია, რომელიც უკვე 69 წლისა იყო, რომ გიმნასტიკით ვარჯიშობა დაიწყო. ამ დროს იგი 140 გირვანქას იწონავდა, სამის წლის შემდეგ 160 და ეხლა ეს 83 წლის მოხუცი 165 გირვანქას იწონს. ამასთანავე თითონ რობერტსონი ამბობს, რომ რაც გიმნასტიკას ხელი მოვკიდე და სიარულსა და ფიზიკურს ვარჯიშობას მივმართე, გაცილებით უკეთესად და უფრო ჯანზედა ვარო. მაშასადამე სჩანს, რომ გიმნასტიკა, სიარული და ფიზიკური ვარჯიშობა სასარგებლო ყოფილა ხანში შესულ კაცთათვის, რა თქმა უნდა, თუ რომ არ გადააჭარბებენ და გადაჭარბება-კი, როგორც მოგეხსენებათ, არაფერში არ ვარგა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აგვისტო.

**ვარშავა.** გუშინ ყველა ქუჩები გაჩირაღდნებული იყო. ქუჩებში მრავალი ხალხი დასეირნობდა და ლაზენკოვის სასახლისაკენ მიისწრაფოდა, სადაც ვარშავის მგალობელს საზოგადოებას „ლიუტნასა“ და ნავოსანთა საზოგადოებას სასახლის ტბაზედ სერენადა ჰქონდათ გამართული. ნიჩბის მომსმელნი ტკბილად გალობდნენ. ხელმწიფე იმპერატორმა ყველას, ვინც-კი მონაწილეობას იღებდა ამ დღესასწაულობაში, მადლობა გარდაუხადა.

20 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა, მათთან დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და პავლე ალექსანდრეს ძე წმ. სამების საკრებულო ტაძარში მიბრძანდნენ. ტაძარში ვარშავის საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოწაფე ქალნი და ვაჟნი იყვნენ შეკრებილნი. ტაძარში შესვლის დროს მათს უდიდებულესობას ვარშავის არქიეპისკოპოსი და ხოლმის უსამღვდელოესი ფლავიანე მიეგებნენ არქიმანდრიტებითა და საკრებულო სამღვდელოებითურთ. არქიეპისკოპოსმა მათს უდიდებულესობას სიტყვა უთხრა. მათმა უდიდებულესობამ ტაძარში პარაკლისი და სამეფო მრავალ-ჟამიერი მოისმინეს.

წმ. სამების ტაძრიდგან მათნი უდიდებულესობანი ახალის წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის სანახავად წაბრძანდნენ, რომელიც ახლა შენდება. აქედგან მოკოტოვოს მინდორში მიბრძანდნენ ჯარების დასათვალიერებლად. ჯარების ნახვის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ლაზენკოვის სასახლეში მიბრძანდნენ, სადაც უმაღლესი საუზმე იქმნა გამართული.

ლაზენკოვის სასახლეში, ნაშუადღევის 4 საათზედ, ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფა იმპერატრიცას წარუდგნენ სასულიერო წოდების უმაღლესნი წარმომადგენელნი, სასახლის კაცნი, სამოქალაქო სამსახურის წარმომადგენელნი მოხელენი, უცხო სახელმწიფოთა კონსულები, წევრნი კომიტეტისა, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორის ვარშავაში მობრძანების სახსოვრად საქველმოქმედო სახლის დაარსება აქვს განზრახული და სხ. ხელმწიფე იმპერატორმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა. ნაშუადღევის 5 საათზედ იმავე სასახლეში ხელმწიფა იმპერატრიცას ვარშავის მანდილოსანნი წარუდგნენ.

დღეს, საღამოთი, გენერალ-გუბერნატორს წვეულება და ბალი აქვს გამართული.

**პარიზი.** ელისეის სასახლეში მომხდარ მინისტრთა ბჭობაზედ გარდაწყვეტილ იქმნა, რომ პრეზიდენტის ფორის რუსეთში მოგზაურობისა გამო მრავალს სამოქალაქო, თუ სამხედრო კანონის წინააღმდეგ დამნაშავეს სასჯელი ეპატიოს. ბჭობის შემდეგ ფორი ჰავრში წავიდა.

**კონსტანტინოპოლი.** სულთანის ტახტზედ ასვლის დღემ გუშინ მშვიდობიანად ჩაიარა. საზოგადოების აზრით, საშიში აღარა არის რა, სომხებიც დამშვიდებულნი არიან.

22 აგვისტო,

**ვარშავა.** ლაზენკოვის სასახლეში იმ კომიტეტის წევრების მიღების დროს, რომელიც შემოწირულებას ჰკრებს მათის უდიდებულესობის 1897 წელს ვარშავაში მობრძანების სახსოვრად საქველმოქმედო სასწავლებლის დასაარსებლად, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვის საპასუხოდ ბრძანა: „იმპერატრიცისა და ჩემის ძხრით გიცხადებთ, ბატონებო, ჩვენს გულითადს მადლობას იმ უხვი შემოწირულებისათვის, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო პოლონიის ყველა წოდებამ და იმ ერთგულების გრძნობათათვის, რომელიც თქვენ ჩვენ გამოგვიცხადეთ. მე სავსებით მწამს გულწრფელობა მათი. ჩვენ ორივე დიდათ მოხარული ვიყავით იმ გულ-მხურვალე მიღებით, რომელიც ჩვენ აქ აღმოგვიჩინეთ. ვარშაველების დახვედრა საუკეთესო მოგონებად დარჩება ჩვენში. ერთხელ კიდევ გმადლობთ, ბატონებო“.

**ვარშავა.** 21 აგვისტოს, გენერალ-გუბერნატორის სასახლეში, ბრწყინვალე წვეულება იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრნენ საუკეთესო წარმომადგენელნი პოლონიის ხალხისა. სულ მოწვეული იყო 2,000 კაცამდე. საღამოს 10 საათზედ საეროვნო საგალობლის ხმამ აუწყა ყველას, რომ მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ. მათის უდიდებულესობის მობრძანებისათანავე კონცერტი დაიწყო. ღამის 12 საათზედ მათი უდიდებულესობა ლაზენკოვის სასახლეში წაბრძანდნენ. ხალხმა ალტაცებით გააცილა.

21 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ხელმწიფე დიდის მთავრებითურთ ნოვოგიორგიევსკსა და ზეგრჟში წაბრძანდა. დედოფალმა ინახულა წითელი ჯვრის საზოგადოება, საქველმოქმედო საზოგადოება, ყრმის იესოს თავშესაფარი, ყრუ-მუნჯთა ინსტიტუტი და კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტი. გზაზედ აუარებელი ხალხი იდგა. ბავშვები დედოფალს გზას ყვავილებით უფენდნენ. დაათვალიერა რა ყველა ეს დაწესებულებანი, დედოფალი ლაზენკის სასახლეში დაბრუნდა.

**ლონდონი.** „სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ კანეიდგან: „ბრიტანიის ადმირალი არ დაესწრო გუშინ იმ დღესასწაულს, რომელიც ჯევად-ფაშამ ადმირალებს, ელჩებს, აფიცრებს და ოსმალეთის უმაღლესს მოხელეებს გაუმართა“.

## განცხადებანი




(11—მ.—3)

**სასწავლებელი და პანსიონი**

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერსტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პანსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30. (10—157—2)

გამოცდილი **მასწავლებელი ქალი ამზადებს ყმაწვილებს** სხვადა-სხვა სასწავლებლის უმცროსს კლასებში შესასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირადად და წერილით: მიხეილის ქ., სახლი კრაუზესი, № 79, ქნს დიდებულიძისას. (3—154—2)

**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან**

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცდა შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში—45 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—15 8) და 9 წლ. ყმაწვ.), მესამეში 2 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეში—5 (10 და 11 წლ. ყმაწ.); გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, გარდა მეხუთე კლასისა.

2) 67 ვაკანსიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს იმ შემთხვევაში მსურველნი მიღებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის გარდასახადი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ იმათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილი პანსიონიდგან.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარის ხარჯით. ვინც საკუთარის ხარჯით შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი— ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოტანილ იქმნას აგვისტოს ოც-და-ხუთამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лоборатoрной ул. дом. Селинова.

10). აგვისტოს 25, 26 და 27 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{97}/_{98}$ სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

(5—უ.—4)

გვესმის გრძნობა იმ ბედნიერთა, რომელთაც ყველა ამათ მიაღწიეს. ირლანდიელნი უნდა შევუერთდეთ იმათ თუ არა? ჩვენ, როგორც ხალხის წარმომადგენელთ, ეხლა უპირველეს ყოვლისა სამშობლო ქვეყანა უნდა მოვიგონოთ. ირლანდიამ ამ დღესასწაულზედ რა უნდა გააკეთოს? აქვს თუ არა იმას სიხარულის მიზეზი? დედოფალ ვიქტორიას მეფობა ირლანდიისათვის მრავალ უბედურების გამომხატველია. ირლანდია ხალხის ნებაზე კი არ განიგება, არამედ ხალხის წინააღმდეგ. ინგლისმა მოუსპო ირლანდიელ ხალხს თავისუფლება, უკანონობა დაამკვიდრა, შემოიღო მკაცრი და უწყალო სასჯელი პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, რომელნიც ქვეყნის ფარულ უკმაყოფილების ლოგიკური შედეგნი არიან... სისაწყლემ, სიმშილმა, მამულ-დედულიდგან განძევებამ ასი ათასი მკვიდრი ამოწყვიტა და ერთ მილიონამდის ხასოწარკვეთილებამდის მისულ ხალხს საყვარელი სამშობლო დაატოვებინა. დედოფალ ვიქტორიას მეფობის განმავლობაში ირლანდიის მცხოვრებთა რაოდენობამ ნახევრად იკლო, მაშინ როდესაც ინგლისის მცხოვრებთა რიცხვი ამავე დროს გაორკეცდა. ეს განახევრებული მცხოვრებნიც საცხოვრებელ საშუალებას ვერა ჰშოულობენ. ხალხის ცხოვრების გარემოება გაუკუღმართდა, მრეწველობა დაეცა, მიწად მოქმედება, ეს ერთად ერთი საცხოვრებელი წყარო, საშინელს გაჭირვებაშია. ყოველისავე ამის მიუხედავად და სამართლიანობის წინააღმდეგ, ხალხის კისერი ახალის გარდასახადით დატვირთეს. ირლანდია მთელს ქვეყნის პირზედ ყველაზედ მეტად არის გარდასახადებით დატვირთული.

ამ გარემოებათა გამო ირლანდიას იუბილეიში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან. ჩვენ განზედ ვიქნებით, როდესაც ჩვენი მომეტებულად ბედნიერი მეზობლები სადღესასწაულო სიხარულს მიეცემიან. ჩვენ არა ვდღრტვინავთ, მხოლოდ გვინდა ვიმუშაოთ, რომ ის დრო მოვიახლოვოთ, როდესაც გონება, კანონიერება და კაცთმოყვარეობა გაიმარჯვებს, და ჩვენი ქვეყანა თავისუფლებასა და პროგრესს ეღირსება. მაშინ ჩვენც გავიხარებთ.“

ასეთია ირლანდიის დასის „მანიფესტი“. ეჭვს გარეშეა, რომ ის დრო, რომელზედაც დეპუტატნი ლაპარაკობენ, ახლოა. ახალგაზდა ინგლისელნი ირლანდიელთ ძმურად ხელს უწვდიან და ამ ახალგაზდა ინგლისელთა იდეალე'ის გამომხატველნი არიან: ვილიამ მორისი, ამერიკელი პოეტი უატ უატმანი და ედუარდ კარპენტერი. იმათი თხზულებანი მძლეთა-მძლეობის გმირობით არის აღსავსე.

ე. მ—შვილი